

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგებების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად. მოცემული პასუხისმგებლობა მოიცავს: შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვას და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით და თაღლითობით გამოწვეულ არსებით უზუსტობას; აგრეთვე ბუღალტრული აღრიცხვის შესაფერისი პოლიტიკის შერჩევასა და დანერგვას და მოცემულ გარემოებებისათვის შესაბამისი და დასაბუთებული ბუღალტრული შეფასებების გაკეთებას

სააღრიცხვო პოლიტიკა და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები**1. ზოგადი ინფორმაცია**

შპს „სტრადა“ (შემდგომში „კომპანია“) არის 2008 წლის 28 მაისს დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, დიდუბის რაიონი, აკაკი ბელიაშვილის ქ., N191.

დამფუძნებლები არიან გიორგი ბერუაშვილი (01019013522) 40 % წილის მმართველი, დავით ზაუტაშვილი (010125000185) 40 % წილის მმართველი, ზურაბ გვაზავა (01026011397) 10 % წილის მმართველი, არჩილ კუპრეიშვილი (01027011671) 10 % წილის მმართველი,

კომპანიის დირექტორი არის არჩილ კუპრეიშვილი (01027011671) . (საფუძველი :პარტნიორთა კრების ოქმი 06.02.2014 წ.).

კომპანიის საქმიანობის სფეროს წარმოადგენს ახალი და მეორადი ავტომობილებით ვაჭრობა, ავტოსერვისი, კომპანია ძირითადად ბიზნესს საქართველოში ეწევა.

შპს „სტრადა“ ბაზარს უკავშირდება საცალო ან კორპორატიული გაყიდვების გზით, ასევე კომპანია მონაწილეობს სახელმწიფო ტენდერებში.

ფინანსური ანგარიშგების წარსადგენად გამოყენებულია ეროვნული ვალუტა, „ლარი“, რომელიც ასახავს ძირითადი მოვლენებისა და მათთან დაკავშირებული შესაბამისი გარემოებების ეკონომიკურ არსს.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი

კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის, შემდგომში მსსფასს სტანდარტის შესაბამისად და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისთვის გამოყენებული ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის დაშვებით.

3. ბუღალტრული აღრიცხვის ძირითადი პოლიტიკა

ქვემოთ მოცემულია საზოგადოების სააღრიცხვო პოლიტიკის ის არსებითი ნაწილი, რომელიც თანმიმდევრულად გამოიყენებოდა წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიმართ.

ფინანსური აქტივები

მსს სტანდარტის 11 განყოფილების შესაბამისად, ფინანსური აქტივები შესაბამისად კლასიფიცირდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ და მოგებასა და ზარალში ასახულ ფინანსურ აქტივებად, სესხებად და მისაღებ ანგარიშებად, ან გასაყიდად გამოიწველ ფინანსურ აქტივებად.

ფინანსური აქტივების თავდაპირველი აღიარებისას მათი აღრიცხვა ხდება სამართლიანი ღირებულებით, რასაც ემატება უშუალოდ გარიგებასთან დაკავშირებული ხარჯები მხოლოდ იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებიც არ არის შეფასებული სამართლიანი ღირებულებით და ასახული მოგებაში ან ზარალში. კომპანია თავისი ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას განსაზღვრავს მათი პირველადი აღიარებისას. კომპანიას არ აქვს გასაყიდად გამოიწველი ან სამართლიანი ღირებულებით აღიარებული და მოგებაში ან ზარალში აღიარებული ფინანსური აქტივები. ინვესტიციების კლასიფიკაცია დამოკიდებულია მათი შეძენის ან წარმოშობის მიზანზე.

ფინანსური აქტივების გაუფასურების რეზერვები

კომპანია თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, გაუფასურდა თუ არა ფინანსური აქტივი ან ფინანსური აქტივების ჯგუფი. თუ არსებობს ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივების გაუფასურების შედეგად წარმოიქმნა ზარალი, ზარალის ოდენობა განისაზღვრება, როგორც სხვაობა აქტივის საბალანსო ღირებულებასა და სამომავლო ფულადი ნაკადების დისკონტირებულ ღირებულებას შორის (გარდა სამომავლო დანაკარგებისა კრედიტზე, რომლებსაც ჯერ ადგილი არ ჰქონია), რომლებიც დისკონტირებულია ფინანსური აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. გაუფასურების ზარალის ოდენობის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. კომპანია მნიშვნელოვანი ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად, ხოლო ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონე ფინანსური აქტივების შემთხვევაში ინდივიდუალურად ან ერთობლიობაში აფასებს, არსებობს თუ არა გაუფასურების ობიექტური საფუძველი. თუ დადგინდა, რომ ინდივიდუალურად შეფასებული ფინანსური აქტივის (განურჩევლად იმისა, მნიშვნელოვანია ის თუ არა) გაუფასურების ობიექტური საფუძველი არ არსებობს, ეს აქტივი შევა მსგავსი საკრედიტო რისკების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფში და ფინანსური აქტივების ეს ჯგუფი გაუფასურებასთან მიმართებაში ფასდება ერთობლივად.

აქტივები რომელთა გაუფასურება ფასდება ინდივიდუალურად და რომელთათვისაც ხდება გაუფასურების ზარალის აღიარება, არ შედის გაუფასურებასთან მიმართებაში აქტივების ერთობლივად შეფასების პროცესში. თუ მომდევნო პერიოდში, გაუფასურებით გამოწვეული ზარალი შემცირდება და ეს შემცირება შეიძლება ობიექტურად დაუკავშირდეს გაუფასურების შემდეგ მომხდარ მოვლენას, ხდება

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

მანამდე აღიარებული გაუფასურებით გამოწვეული ზარალის აღდგენა. გაუფასურების ზარალის ნებისმიერი შემდგომი შემოზღუდვის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში ისე, რომ აქტივის საბალანსო ღირებულება არ აღემატებოდეს მის ამორტიზებულ ღირებულებას შემოზღუდვის თარიღისთვის.

უიმედო აქტივი ჩამოიწერება გაუფასურების შესაბამისი რეზერვიდან ყველა საჭირო პროცედურის ჩატარებისა და ზარალის ოდენობის განსაზღვრის შემდეგ. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს. ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება მოგებაში ან ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების ხარჯს.

ფინანსური ინსტრუმენტების აღიარების შეწყვეტა

ფინანსური აქტივის (ან, თუ შესაძლებელია, ფინანსური აქტივის ნაწილის ან მსგავსი ფინანსური აქტივების ჯგუფის) აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც დგება შემდეგი პირობები:

- ამოიწურა აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების ვადა;
- კომპანიამ დათმო აქტივიდან ფულადი სახსრების მიღების უფლება, ან დაიტოვა ამგვარი უფლება, მაგრამ აიღო მესამე პირებისათვის თანხების სრულად და დაგვიანების გარეშე გადახდის სახელშეკრულებო ვალდებულება; და
- კომპანიამ (ა) გადასცა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი; (ბ) არც გადასცა და არც დაიტოვა აქტივთან დაკავშირებული ყველა რისკი და სარგებელი, მაგრამ გადასცა აქტივზე კონტროლი.

იმ შემთხვევაში, თუ კომპანიამ გადასცა აქტივიდან ფულადი ნაკადების მიღების უფლება და არ გადაუცია ძირითადი რისკები და სარგებელი ან კონტროლი აქტივზე, კომპანიის მიერ აქტივის აღიარება ხდება მონაწილეობის შენარჩუნების პირობით. მონაწილეობის შენარჩუნება, რომელსაც აქვს ერთგვარი გარანტიის ფორმა გადაცემულ აქტივზე, რომელიც ფასდება აქტივის თავდაპირველ საბალანსო ღირებულებასა და კომპანიის მიერ გადასახდელ მაქსიმალურ თანხას შორის უმცირესით.

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს ეროვნულ ვალუტაში, მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე არსებულ ნაშთებს ეროვნულ და უცხო ვალუტაში. ფული და ფულადი ექვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება სამუშაო ვალუტაში, რომლის კონვერტაცია ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით.

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

ხელმძღვანელობა არ მოელის ზარალს, რომელიც გამოწვეულია ისეთი კონტრაგენტების მიერ ვალდებულების შეუსრულებლობით, სადაც განთავსებულია ფულადი სახსრები (საბანკო ანგარიშები) და მათი ექვივალენტები - მათი საბალანსო და სამართლიანი ღირებულებები არსებითად არ განსხვავდება.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო მოთხოვნები ძირითადად შედგება იმ მიუღებელი თანხებისგან რომელზეც კომპანიამ გაუწია დამკვეთს გარკვეული სახის მომსახურება აღიარა შემოსავლად, მაგრამ არ მიუღია შესაბამისი ანაზღაურება. საანგარიშო პერიოდის ბოლოს კომპანიის ბალანსზე არ არის იდენტიფიცირებული უიმედო ვალები და მიმდინარე მოთხოვნების ვადაგადაცილებული დავალიანება. საანგარიშო პერიოდში არსებული უიმედო მოთხოვნები ჩამოწერილია კომპანიის ფინანსურ ანგარიშგებაში და მიმდინარე მოთხოვნები ასახულია რეალური ღირებულებით.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

კომპანიაში მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. მარაგების თვითღირებულება მოიცავს მათ შეძენასთან დაკავშირებულ ყველა დანახარჯს, აგრეთვე დანახარჯებს, რომლებიც გაწეულია მისი მოცემულ ადგილამდე ტრანსპორტირებისათვის და სათანადო მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანიის საქმიანობიდან გამომდინარე მარაგების ძირითადი ნაწილი მოიცავს გასაყიდად შეძენილ ახალ ავტომობილებს, ჩაბარებულ მეორად ავტომობილებს, ავტონაწილებს და აქსესუარებს.

გადასახადები

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან.

პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში (გადახდილი დივიდენდის დროს). კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორიცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი.

კომპანია ირიცხება დამატებული ღირებულების გადასახადი გადამხდელად და შესაბამისად წარადგენს დეკლარაციებს

ძირითადი საშუალებები და ცვეთა

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა და მიეცემა შემოსავლისა და ხარჯის შესაბამისი კლასიფიკაცია. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. **პერიოდის ცვეთის ხარჯი**

ძირითადი საშუალებების ცვეთის ხარჯი აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როცა აღნიშნული თანხა უნდა აღირიცხოს სხვა აქტივის საბალანსო ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

ცვეთისა და ამორტიზაციის გაანგარიშება წარმოებს წრფივი მეთოდის გამოყენებით შემდეგი წლიური განაკვეთების გამოყენებით:

- შენობა-ნაგებობები - 5 %
- მანქანა დანადგარები - 12.5 %
- ოფისის აღჭურვილობა - 20 %
- სამეურნეო აღჭურვილობა - 80 %
- კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები - 20 %
- ავტომობილები - 20 %
- ავეჯი - 10-20 %
- სპეციალური ინსტრუმენტები - 20 %
- არამატერიალური აქტივი - 15 %

არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივი არის ფიზიკური ფორმის არმქონე, იდენტიფიცირებადი არაფულადი აქტივი. არამატერიალური აქტივები ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარდება აქტივად მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ ა) მომავალში ამ აქტივის მეშვეობით ორგანიზაცია მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს და ბ) შესაძლებელია ამ აქტივის ღირებულების სარწმუნო (რეალური) შეფასება. თავდაპირველი აღიარების შემდეგ არამატერიალური აქტივები აღირიცხება დაგროვილი ამორტიზაციით და ნებისმიერი გაუფასურების ზარალით შემცირებული ღირებულებით.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ნორმალურ საკრედიტო პირობებში განხორციელებული ოპერაციების დროს წარმოშობილ ვალდებულებებს, რომლებიც პროცენტის მატარებელი არ არის.

ნასესხები სახსრები

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტა ხდება მაშინ, როდესაც მათთან დაკავშირებული ვალდებულება შესრულდება, გაბათილდება ან ამოიწურება და თუ მისი პირობები არსებითად შეიცვლება.

კომპანიის კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისგან, გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელშიც შედის მიმდინარე წლის მოგება ან ზარალი, გადაფასებული და სხვა რეზერვებისგან.

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება ხორციელდება მხოლოდ კომპანიის მფლობელთა გადაწყვეტილებით. საწესდებო კაპიტალი აღიარდება კომპანიაში მესაკუთრეების მიერ განხორციელებული შენატანის შესაბამისად.

.

კაპიტალის მართვის მიზნებია:

- კომპანიის სტაბილურობის საჭირო დონის შენარჩუნება და ამით მფლობელებისთვის გარკვეული უსაფრთხოების უზრუნველყოფა;
- კაპიტალის ეფექტურად მართვა და საქმიანობის განვითარების მხარდაჭერა იმის უზრუნველყოფით, რომ გამოყენებულ კაპიტალზე უკუგება აკმაყოფილებდეს მფლობელთა მოთხოვნებს;
- მტკიცე ფინანსური პოზიციის შენარჩუნება, საქმიანობის გაფართოების ხელშეწყობა და მფლობელებისთვის მოთხოვნების დაკმაყოფილება.

ამონაგების (შემოსავლის) აღიარება

ამონაგები მოიცავს მხოლოდ კომპანიის მიერ თავის ანგარიშზე მიღებულ ან მისაღებ ეკონომიკური სარგებლის საერთო თანხას. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულების მიხედვით.

ამონაგების აღიარება ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც მოსალოდნელია მოცემული ოპერაციიდან ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში. როდესაც ჩნდება განუსაზღვრელობა ამონაგებში უკვე ჩართული თანხის მიმართ, ამოუღებელი თანხა ანუ თანხა, რომლის ამოღების ალბათობა ნულის ტოლია, აღიარებული იქნება როგორც ხარჯი.

ამონაგების აღიარება ხორციელდება დამატებითი ღირებულების გადასახადის გარეშე. გაანგარიშება ხორციელდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება საქონლის მიწოდებისა და უფლებების გადაცემის შემდეგ, თუ კმაყოფილდება შემდეგი პირობები:

- კომპანიამ მყიდველს გადასცა საქონლის ფლობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი.
- კომპანია აღარ ინარჩუნებს მენეჯერული ჩარევის საშუალებას ისეთი ხარისხით, რაც მფლობელობასთანაა დაკავშირებული თუ ეფექტურ კონტროლს გაყიდულ საქონელზე.

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

- შესაძლებელია შემოსავლის სარწმუნოდ გაზომვა.
- მოსალოდნელია, კომპანიაში ტრანზაქციასთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოღინება.

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზაციის თვითღირებულება შედგება რეალიზებული საქონლის თვითღირებულებისაგან და იმ ხარჯებისგან რომელიც გაწეულია ამ პროდუქციის და მომსახურების მიწოდებაზე.

საგარანტიო მომსახურება

კომპანიის გაყიდულ ავტომობილებზე ახორციელებს საგარანტიო მომსახურებას, მომსახურების პირობები, ვადა და მომსახურების სახეები განისაზღვრება გარიგების თანახმად, ჩამოთვლილია ნასყიდობის ხელშეკრულების დანართში და განისაზღვრება ინდივიდუალურად კორპორატიული კლიენტებისათვის.

ხარჯების აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ორგანიზაცია ხარჯების აღრიცხვას აწარმოებს დარიცხვის მეთოდით. ხარჯების აღიარება ხდება იმ მომენტში როდესაც ორგანიზაციას წარმოექმნება გადახდის ვალდებულება მიღებული მომსახურების ან საქონლის სანაცვლოდ. საანგარიშო პერიოდში გაწეული ხარჯების ძირითადი ნაწილი მოიცავს ხელფასის, ცვეთის და სხვა ადმინისტრაციულ ხარჯს, რომელშიც გაერთიანებულია საოპერაციო საქმიანობაზე გაწეული დანახარჯები.

ხელფასები და თანამშრომელთა სხვა სარგებელი

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

საოპერაციო იჯარა

კომპანია, როგორც მოიჯარე - იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო იჯარად, საოპერაციო იჯარა წრფივი მეთოდით აღიარდება მიმდინარე პერიოდის ხარჯად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდგება „ადმინისტრაციული ხარჯების“ მუხლში.

კომპანია, როგორც მეიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები.

გარიგების დაწყებისას, კომპანია განსაზღვრავს ამგვარი გარიგება არის იჯარა, ან მოიცავს ის თუ არა იჯარას. ეს განისაზღვრება იმის მიხედვით, გარიგების განხორციელება დამოკიდებულია თუ არა კონკრეტული აქტივის გამოყენებაზე და გარიგება გადასცემს თუ არა აქტივის გამოყენების უფლებას სხვა მხარეს.

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

საოპერაციო იჯარის ფარგლებში განხორციელებული გადახდები (მოიჯარისგან ავანსად მიღებული თანხები) აღიარდება როგორც სავაჭრო ვალდებულება მოიჯარის მიმართ. ხოლო იჯარის შემოსავლის აღიარება ხდება მოგება/ზარალში დარიცხვის მეთოდით წრფივი მეთოდის გამოყენებით იჯარის ვადის განმავლობაში და წარსდგება „საოპერაციო შემოსავლები“ მუხლში.

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო შემოსავალი და საპროცენტო ხარჯი აისახება ყველა ფინანსურ ინსტრუმენტთან მიმართებაში დარიცხვის პრინციპის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მიხედვით დისკონტირება მომავალში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები (ყველა მიღებული ან გადახდილი საკომისიოს ჩათვლით, რომელიც წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარიგების ხარჯებისა და სხვა ფასნამატებისა და დისკონტირების ჩათვლით) ფინანსური ინსტრუმენტების მოსალოდნელი მომსახურების ვადის განმავლობაში, ან ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულების მოკლე პერიოდის განმავლობაში. საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

ოპერაციები უცხოურ ვალუტაში გადაყვანილია კომპანიის მოქმედ ვალუტაში, ოპერაციების თარიღის შესაბამისი კურსით (ქართული ლარი საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური გაცვლითი კურსით).

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კონვერტირება ხდება ანგარიშსწორების წარდგენის თარიღისათვის არსებული გაცვლითი კურსით, ლარში. უცხოური ვალუტის კურსის ცვლილებით მიღებული მოგება ან ზარალი, წარმოადგენს სხვაობას პერიოდის დასაწყისში არსებული ამორტიზირებული ღირებულების, პერიოდის განმავლობაში განხორციელებული გადახდების და პერიოდის ბოლოს არსებული ამორტიზირებული ღირებულების, რომელიც ანგარიშგების პერიოდის ბოლო გაცვლითი კურსით არის გადაყვანილი.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, ფასდება სამართლიანი ღირებულებით და გადაიყვანება სამუშაო ვალუტაში, სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსით. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული არაფულადი ერთეულები, რომლებიც ისტორიულ ღირებულებაზე დაყრდნობით ფასდება, გადაიყვანება ოპერაციის დღეს მოქმედი გაცვლითი კურსის გამოყენებით.

უცხოური ვალუტის გადაყვანით წარმოშობილი სხვაობა აღიარდება მოგება ან ზარალში, გარდა გასაყიდად ხელმისაწვდომი კაპიტალის ინსტრუმენტების გადაყვანით გამოწვეული სხვაობებისა, რომლებიც სხვა მთლიან შემოსავალში აღიარდება.

ურთიერთგაქვითვა

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

ფინანსური აქტივები და ვალდებულებები ურთიერთგაიქვითება და წმინდა თანხა აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ არსებობს აღიარებული თანხების ურთიერთგაქვითვის იურიდიული უფლება და სურვილი, ან ერთდროულად აქტივის რეალიზაციისა და ვალდებულებების დაფარვის სურვილი. შემოსავალი და ხარჯი მოგებაში ან ზარალში არ გაიქვითება, თუ ეს არ მოითხოვება ან დაიშვება ბუღალტრული აღრიცხვის რომელიმე სტანდარტით ან ინტერპრეტაციით.

ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება. ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები. მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ჰქონდა შეფასების ცვლილებას. ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობასთან.

კომპანიაში ანარიცხები არ აღიარდება, ვინაიდან არ დამდგარა შემდეგი გარემოება:

□ კომპანიას აქვს მიმდინარე მოვალეობა (იურიდიული ან კონსტრუქციული), რომელიც წარმოიქმნება წარსული მოვლენების შედეგად;

□ სავარაუდოა, რომ მოვალეობის დასაფარად საჭირო იქნება ეკონომიკურ სარგებელში განივთებული რესურსების გასვლა;

□ შესაძლებელია მოვალეობის თანხის საიმედოდ შეფასება.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს კომპანიის ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილების რისკის მატარებელია:

ა) ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები

ძირითადი საშუალებების ცვეთა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა დამოკიდებულია მენეჯმენტის შეფასებებზე, თუ რა პერიოდის განმავლობაში მოელის იგი აქტივის გამოყენებიდან სარგებლის მიღებას. სასარგებლო მომსახურების ვადები პერიოდულად უნდა გადაიხედოს. შეფასების ცვლილებამ შესაძლოა არსებითი ცვლილება გამოიწვიოს ცალკეულ პერიოდებში საბალანსო ღირებულებასა და სრული შემოსავლის ანგარიშგებაში ასახულ თანხებში.

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

ბ) გადასახადები

კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადის გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად, კომპანიას მინიმუმამდე დაჰყავს აღნიშნული რისკი.

საწარმოს უწყვეტობის განხილვა

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში, ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

ბალანსის შედგენის შემდგომი მოვლენები:

ანგარიშგების წარდგენის მომენტისთვის კომპანიის საქმიანობებში ახალი მიმართულებები არ მოიაზრება.

საანგარიშო პერიოდის შემდგომ ისეთ მნიშვნელოვან გარემოებებს, რომელთა ფინანსურ ანგარიშგებაში განმარტება საჭირო იქნებოდა, ადგილი არ ჰქონია.

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

შპს სტრადა


ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2018	31 დეკემბერი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	1	17 368	12 734
საინვესტიციო ქონება	1	518 914	506 260
		536 282	518 994
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	2	208 966	174 369
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	3	27 129	298 805
გადახდილი ავანსები	3	190 359	36 998
გადახდილი გადასახადები	3	42 108	23 041
ფული და ფულის ეკვივალენტები	4	126 204	163 657
სულ მოკლევადიანი აქტივები		594 767	696 869
სულ აქტივები		1 131 049	1 215 863
ვალდებულებები და კაპიტალი			
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	-
გაუნაწილებელი მოგება		588 809	576 907
		588 809	576 907
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	5	389 680	86 238
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		389 680	86 238
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	5	-	450 000
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	6	6 810	8 405
გადასახდელი ხელფასები	6	348	42 545
საგადასახადო ვალდებულებები	6	-	-
მიღებული ავანსები	6	145 402	51 769
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		152 560	552 718
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		1 131 049	1 215 863

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

შპს სტრადა

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	2019
შემოსავალი	7	4 316 456
გაყიდული პროდუქციის თვითღირებულება	8	(3 400 060)
საერთო მოგება		916 396
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	9	(79 940)
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	10	(527 656)
გარანტიის ხარჯი		(35 593)
საოპერაციო მოგება		273 208
ფინანსური ხარჯი, ნეტო	11	(62 313)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო		5 073
სხვა შემოსავალი (ხარჯები), ნეტო		(7 651)
მოგება დაბეგვრამდე		208 316
მოგების გადასახადის ხარჯი		-
წმინდა მოგება		208 316
სხვა სრული შემოსავალი		
მთლიანი სრული შემოსავალი		208 316

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

შპს სტრადა

საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2019	-	588 809	-	588 809
გაცემული დივიდენდები	-	(220 217)	-	(220 217)
მთლიანი სრული შემოსავალი	-	208 316	-	208 316
31 დეკემბერი 2019	-	576 907	-	576 907

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

შპს სტრადა

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

1 ძირითადი საშუალებები და
საინვესტიციო ქონება 2019 წლის
31 დეკემბრის და 1-ლი
იანვრისთვის შეიძლება
წარმოდგენილი იყოს
შემდეგნაირად:

	მიწა	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა- ნაგებობები	საოფისე აღჭურვილობა	არამატერი ალური აქტივები	სულ
ნაშთი 01.01.2019	317 546	-	244 876	20 016	8 222	590 660
შემოსვლა			508	2 695		3 203
გასვლა			(10 054)		(8 222)	(18 277)
ნაშთი 31.12.2019	317 546	-	235 330	22 711	-	575 587
დაგროვილი ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა 01.01.2019			32 964	13 192	8 222	54 378
ცვეთა წლის განმავლობაში			17 728	2 763		20 491
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა			(10 054)		(8 222)	(18 277)
დაგროვილი ცვეთა 31.12.2019	-		40 638	15 955	-	56 593
ნეტო საბალანსო ღირებულება						
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2019	317 546	-	211 912	6 824	-	536 282
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2019	317 546	-	194 692	6 755	-	518 994

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

2 მარაგები

	31.დეკ. 19	1-ლი იანვარი 2019
საქონელი ავტომობილები		
საქონელი ავტომობილები	108 565	145 890
საქონელი ავტონაწილები	65 288	58 354
საწვავი	442	2 167
დაუმთავრებელი წარმოება	75	2 555
	174 369	208 966

3 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.დეკ. 19	1-ლი იანვარი 2019
ფინანსური მოთხოვნები:	298 805	27 129
სავაჭრო მოთხოვნები	981	-
მოთხოვნები ავტომობილის მიწოდებიდან	-	-
მოთხოვნები სერვისის მიწოდებიდან	39 824	25 129
მოთხოვნები გაცემული სესხებიდან	258 000	2 000
არაფინანსური მოთხოვნები	60 039	232 467
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	36 998	190 359
გადახდილი გადასახადები	23 041	42 108
ჯამი	358 843	259 596

4 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31.დეკ. 19	1-ლი იანვარი 2019
ფული სალაროში	31	18
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	156 613	51 962
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	7 012	74 224
დაბრუნებას დაქვემდებარებული საგარანტიო	-	-
	163 657	126 204

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

5 მიღებული სესხები

მიღებული გრძელვადიანი და მოკლევადიანი
სესხები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

სესხის გამცემი:	31.დეკ. 19	1-ლი იანვარი 2019
ფიზიკური პირები	86 238	209 481
ძირი	85 966	204 514
პროცენტი	272	4 967
ბანკი	450 000	180 199
ძირი	450 000	180 000
პროცენტი	0	199
სულ მიღებული სესხები	536 238	389 680

6 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2019 წლის 31
დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება
წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	31.დეკ. 19	1-ლი იანვარი 2019
ფინანსური ვალდებულებები:	50 930	7 158
სავაჭრო ვალდებულებები	8 385	6 810
გადასახდელი დივიდენდები		-
სახელფასო ვალდებულებები	42 545	348
არაფინანსური ვალდებულებები	51 769	145 402
მიღებული ავანსები (იჯარა)	20 299	44 602
მიღებული ავანსები (ავტომობილები)	31 470	100 800
გადასახდელი გადასახადები		-
გადასახდელი დივიდენდები		
	102 699	152 560

7 შემოსავალი

2019 წლის შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი
იყოს შემდეგნაირად:

	2019
შემოსავალი მზა პროდუქციიდან	
შემოსავალი ავტომობილების რეალიზაციიდან	3 772 245
შემოსავალი ავტომობილების რემონტიდან (მომსახურება)	288 181
შემოსავალი იჯარიდან	256 030
სულ შემოსავალი	4 316 456

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

8	თვითღირებულება	
	რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება	
	2019 წლისთვის წარმოდგენილია შემდენაირად:	
	მზა პროდუქციის თვითღირებულება	2019
	ავტომობილების თვითღირებულება	3 239 822
9	ავტონაწილების და ავტოტექნომოსახურების თვითღირებულება	160 238
	სულ თვითღირებულება	3 400 060
9	გაყიდვისა და მიწოდების დანახარჯები	
	გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები 2019 წლისთვის წარმოდგენილია შემდენაირად:	
		2019
	რეკლამის ხარჯები	10 768
	მიწოდების ხარჯი	69 171
10		79 940
	საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	
		2019
	ხელფასები	426 196
	ცვეთა და ამორტიზაცია	20 491
	მივლინების ხარჯები	619
	წარმომადგენლობითი ხარჯები	4 650
	საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	3 266
	გადასახადები მოგების გადასახადის გარდა	13 839
	კომუნალური ხარჯები	3 271
	საკომისიო ხარჯები	15 089
	საკომუნიკაციო ხარჯები	1 774
	საოფისე ხარჯები	525
	კომპიუტერის ხარჯები	1 760
	საკანცელარიო ხარჯები	103
	იჯარის ხარჯები	17 450
	საწვავის ხარჯები	9 885
	სამეურნეო ხარჯები	969
	საფოსტო ხარჯები	2 210
	სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	5 559
		527 656

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი

- 11 **ფინანსური ხარჯი, ნეტო**
კომპანიის ფინანსურური ხარჯი სრულად შედგება
ბანკისგან მიღებულ სესხზე დარიცხული
პროცენტისგან.

საპროცენტო ხარჯი

შპს სტრადა მოტორსზე გაცემულ სესხზე დარიცხული პროცენტი	(922)
ფიზიკური პირებისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	23 437
ბანკისგან მიღებულ სესხზე დარიცხული პროცენტი	39 798
	62 313

- 12 **ფინანსური აქტივები და ვალდებულებები**

	31.დეკ. 19	1-ლი იანვარი 2019
ფინანსური აქტივები	462 461	153 334
ფული და ფული ეკვივალენტები	163 657	126 204
სხვა ფინანსური აქტივები	298 805	27 129
ფინანსური ვალდებულებები	587 188	396 838
მიღებული სესხები	536 238	389 680
სხვა ფინანსური ვალდებულებები	50 950	7 158

არჩილ კუპრეიშვილი



დირექტორი